დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე (2013 წლის 25 სექტემბრის №13 სხდომა) და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 24 სექტემბრის №83 სხდომაზე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები

მუხლი 1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორების, მასწავლებლებისა და მკვლევრების თანამშრომლობით იქმნება აკადემიური და პროფესიული უმაღლესი განათლებისა და კვლევის ერთიანი სივრცე. ერთიანი სივრცე ემყარება სამ პრინციპს:

1. აკადემიურ თავისუფლებას;

2. სინდისის თავისუფლებას;

3. არჩევანის თავისუფლებას.

აღნიშნული ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი მოქმედებს ღიაობის, გამჭვირვალობის, არჩევანის თავისუფლებისა და სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად ხარჯვის პრინციპებით; ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ადგენს აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესს და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობებს.

მუხლის 2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის შესახებ

გადაწყვეტილების მიღება

1. აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის შესახებ წინადადების ინიცირება შეუძლია:

ა)აკადემიურ საბჭოს;

ბ) ფაკულტეტს;

გ) კვლევით სტრუქტურულ ერთეულს;

2. თუკი ფაკულტეტზე, ინსტიტუტში, კვლევით ცენტრში ან ლაბორატორიაში აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის ინიციატორი აკადემიური საბჭოა, მისი გადაწყვეტილება ასევე უნდა ემყარებოდეს შესაბამისად ფაკულტეტის ან სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტი, კვლევითი ცენტრი, ლაბორატორია) საბჭოს და/ან დეკანის/დირექტორის თანხმობას. გამონაკლის

შემთხვევაში, შესაძლოა ფაკულტეტის ან სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის თანხმობა არსებობდეს ზეპირი შეთანხმების ფორმით.

3. ფაკულტეტის, ან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიერ წინადადების ინიცირების შემთხვევაში, ინიცირებული წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის რომელიმე მართვის ორგანოს, კერძოდ: საბჭოს ან დეკანის/დირექტორის წერილობითი წარდგინების სახით, რაც შემდგომი რეაგირებისთვის წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

5. ინიცირებული წინადადების ფორმა უნდა შეიცავდეს

ა) ინიცირების მიზანს(ებს);

ბ) აკადემიური თანამდებობის ტიპს(ებს);

გ) აკადემიურ მოთხოვნას(ებს) შესაძლო კანდიდატურების მიმართ.

6. აკადემიურ საბჭოს შეუძლია ფაკულტეტის ან კვლევითი სტრუქტურული ერთეულის მიერ ინიცირებულ წინადადებაში შეიტანოს დამატებითი მოთხოვნები შესაძლო კანდიდატების მიმართ;

7. აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის ინიციატორი ზეპირ კონსულტაციებს გადის უნივერსიტეტის ბიუჯეტში საკმარისი რაოდენობის ასიგნების არსებობის შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან;

8. თუ საშტატო განრიგში არ არსებობს სათანადო ვაკანტური თანამდებობა, აკადემიური საბჭო შუამდგომლობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან უნივერსიტეტის საშტატო განრიგში შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით.

9. კონსულტაციის შემდეგ გადაწყვეტილება მიიღება აკადემიური საბჭოს მიერ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ინიციატორის მიერ ინიცირებულ წინადადებას (თუ არ არის ზეპირი შეთანხმების გამონაკლისი შემთხვევა) და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წერილობით თანხმობას ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნებების არსებობის შესახებ.

10. აკადემიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს უბრალო უმრავლესობით და ავალებს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს, გამოაცხადოს კონკურსი უნივერსიტეტის წესდებითა და უმაღლესი განათლების შესახებ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 3. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარება:

1.აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპს.

2.კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება, რომელიც ქვეყნდება საბუთების მიღებამდე ერთი თვით ადრე უნივერსიტეტის ვებგვერდზე და უნივერსიტეტში საჯარო გაცნობის ადგილებში, საბუთების მიღება წარმოებს 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო შედეგები ცხადდება საბუთების მიღების დასრულებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსს ატარებს ფაკულტეტის საბჭო, აკადემიური საბჭო და/ან აკადემიური საბჭოს მიერ დანიშნული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან შემდგარი სპეციალური კომისია. კონკურსის შედეგად აკადემიურ თანამდებობაზე შერჩეულ კანდიდატებს დეკანი ან კომისიის თავმჯდომარე დასანიშნად წარუდგენს რექტორს.

4. ფაკულტეტის საბჭოს შეუძლია არ მიიღოს გადაწყვეტილება საბჭოს ყველა წევრის მონაწილეობით, არამედ შექმნას სპეციალური კომისია ფაკულტეტის პროფესორებისგან, რომელიც განიხილავს შემოსულ საბუთებს და ადგენს გამარჯვებულს ან პრეტენდენტების მოკლე სიას; ასეთ შემთხვევაში, ფაკულტეტის კომისიის გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს.

5. პრეტენდენტების მოკლე სიიდან გამარჯვებულის გამოსავლენად ფაკულტეტის საბჭოს ისევე, როგორც აკადემიური საბჭოს მიერ სპეციალურად შექმნილ საკონკურსო კომისიას, შეუძლია დაადგინოს კონკურსის დამატებითი პირობები (საჯარო ლექცია, კვლევითი პროგრამის პრეზენტაცია, არაფორმალური შეხვედრები ფაკულტეტის წევრებთან და სხვა);

6. ფაკულტეტის დეკანი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და/ან აკადემიური საბჭოს მიერ სპეციალურად შექმნილი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს კონკურსში გამარჯვებულის მონაცემებს და სხვა საბუთებს .

7. საბუთებში უზუსტობების ან/და დარღვევების არარსებობის შემთხვევაში ადმინისტრაცია ამზადებს კონტრაქტს და უთანხმებს საკონტრაქტო პირობებს კონკურსში გამარჯვებულს;

8. კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე ბრძანებას გამოსცემს რექტორი;

9. აკადემიურ პერსონალთან შრომით ხელშეკრულებას აფორმებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 4. აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ პირთა დასაქმების პირობები

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, არჩეულ კანდიდატს ეკრძალება იმუშაოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სრული, ასოცირებული, ასისტენტ-პროფესორის ან ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე.

2. იმ შემთხვევაში, თუ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული, ასოცირებული, ასისტენტ-პროფესორის ან ასისტენტის კანდიდატი უკვე არის სხვა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში აირჩიოს, რომელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე განაგრძობს მუშაობას.

3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ პროფესორებს, რომლებიც იმუშავებენ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე და/ან უნივერსიტეტში განახორციელებენ ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვისა, ეკრძალებათ ასევე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მკვლევრის თანამდებობის ან სხვა სახელწოდების იმ სამეცნიერო თანამდებობის დაკავება, რომელიც ძირითად საქმიანობად გულისხმობს კვლევას.

4.ამ წესის მე-4 მუხლის „1", „2" და „3" პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი შეუთავსებლობა არ ვრცელდება უნივერსიტეტის იმ პროფესორებზე, რომლებსაც გაფორმებული აქვთ ვადიანი შრომითი ხელშეკრულება;

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა ამ წესის მიღების თარიღიდან გავრცელდება აგრეთვე უნივერსიტეტში უკვე დასაქმებულ შესაბამის აკადემიურ პერსონალზე. იმ შემთხვევაში თუ ისინი უკვე არიან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მკვლევრები, ვალდებულნი არიან გონივრულ ვადაში აირჩიონ, რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განაგრძობენ მუშაობას.

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი, მეორე, მესამე ან მეოთხე პუნქტით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს შრომის ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.

7. ზემოთ ჩამოთვლილ შეზღუდვებზე განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლოა დაიშვას გამონაკლისი რექტორისა და/ან აკადემიური საბჭოს თანხმობით.

8. ასევე გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ან მის ფარგლებს გარეთ საგანმანათლებლო კვლევით დაწესებულებებს შორის გაფორმებულია ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი, ხელშეკრულება, ერთობლივი პროექტის დოკუმენტაცია ან სხვა სახის შეთანხმება, ხელმოწერილი უნივერსიტეტის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს სრული, ასოცირებული, ასისტენტ-პროფესორის, ასისტენტის ან მკვლევრის ასეთი სახის პოზიციის დაკავების შესაძლებლობას. თუ აღნიშნული არ შეეწინააღმდეგება უმაღლესი განათლების შესახებ კანონს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის N 99/ნ ბრძანებას საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ.